

შპს “საქაერონავიგაცია”
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2017 წელი

<u>დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა</u>	<u>3</u>
<u>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....</u>	<u>6</u>
<u>სრული შემოსავლის ანგარიშგება.....</u>	<u>7</u>
<u>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....</u>	<u>8</u>
<u>საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება</u>	<u>9</u>
<u>ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....</u>	<u>10</u>
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	16
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში	17
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი.....	18
ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები.....	19
6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
7. ძირითადი საშუალებები	21
8. არამატერიალური აქტივები	23
9. გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსები.....	23
10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	24
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	24
12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	24
13. ნასესხები საშუალებები.....	24
14. სახელმწიფო გრანტები.....	25
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	26
16. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით	26
17. სხვა საოპერაციო შემოსავალი	26
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
19. ფინანსური შემოსავალი	27
20. ფინანსური ხარჯები	27
21. მოგების გადასახადი	28
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	29
23. ფინანსური რისკების მართვა	29
24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	32
25. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	33
26. არასახელმწიფო საპენსიო სქემა.....	34
27. სააქციო კაპიტალი	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქაერონავიგაციის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს საქაერონავიგაციის (შემდგომში, "კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავცნობით საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვეკალება, ამ საკითხის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება.

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონმდებლობით, კომპანია ვალდებული იყო, ჩვენთვის წარედგინა საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება. ჩვენი პასუხისმგებლობაა, კანონმდებლობის მიხედვით, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციული მართვის ანგარიშის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისობაზე და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე. ვინაიდან, ჩვენთვის არ არის წარედგენილი საქმიანობის მიმოხილვა და კორპორაციული მართვის ანგარიშგება, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავკავშიროთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



**BAKER TILLY
GEORGIA LTD**

44, K. Abkhazi str., Meidan Palace

Tbilisi 0105, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 243 8999

E-mail: office@bakertillygeorgia.ge

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამკვეთი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მათსადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ემედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილს.

ბესიკ ბისეიშვილი

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

25 მაისი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო

შპს საქაერონავიგაცია
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2017	31-12-2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	117,798	109,328
არამატერიალური აქტივები	8	1,454	1,728
ავანსები გრძელვადიან აქტივებისათვის	9	3,641	2,140
შეზღუდული ფულადი სახსრები	26	3,493	3,185
სულ გრძელვადიანი აქტივები		126,386	116,381
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	2,755	1,445
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	14,406	15,530
მიმდინარე მოგების გადასახადის ავანსი	21	-	1,251
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	11,388	10,153
სულ მოკლევადიანი აქტივები		28,549	28,379
სულ აქტივები		154,935	144,760
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	27	61,213	61,768
გაუნაწილებელი მოგება		80,590	65,087
სულ საკუთარი კაპიტალი		141,803	126,855
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	13	5,848	5,572
სახელმწიფო გრანტები	14	-	1,028
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,848	6,600
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	6,000	10,177
მიმდინარე ნასესხები საშუალებები	13	343	278
მიღებული ავანსები		941	850
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,284	11,305
სულ ვალდებულებები		13,132	17,905
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		154,935	144,760

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

ბნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური
დირექტორი

ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური
მენეჯერი

ქნ. კ. კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქართველოს
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2017	31-12-2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	117,798	109,328
არამატერიალური აქტივები	8	1,454	1,728
ავანსები გრძელვადიან აქტივებისათვის	9	3,641	2,140
შეზღუდული ფულადი სახსრები	26	3,493	3,185
სულ გრძელვადიანი აქტივები		126,386	116,381
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	2,755	1,445
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	14,406	15,530
მიმდინარე მოგების გადასახადის ავანსი	21	-	1,251
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	11,388	10,153
სულ მოკლევადიანი აქტივები		28,549	28,379
სულ აქტივები		154,935	144,760
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	27	61,213	61,768
გაუნაწილებელი მოგება		80,590	65,087
სულ საკუთარი კაპიტალი		141,803	126,855
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	13	5,848	5,572
სახელმწიფო გრანტები	14	-	1,028
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,848	6,600
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	6,000	10,177
მიმდინარე ნასესხები საშუალებები	13	343	278
მიღებული ავანსები		941	850
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,284	11,305
სულ ვალდებულებები		13,132	17,905
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		154,935	144,760

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

_____ ბნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური _____ ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური
დირექტორი მენეჯერი
_____ ქნ. კ. კაზარანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქართველი
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2017 დასრულებულ ი წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის
ამონაგები	16	75,733	66,908
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	1,036	885
პერსონალის ანაზღაურება		(30,772)	(25,888)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7,8	(13,486)	(13,185)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(16,901)	(15,900)
საოპერაციო მოგება		15,610	12,820
ფინანსური მოგება	19	4,606	5,839
ფინანსური ხარჯები	20	(4,713)	(5,435)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		15,503	13,224
მოგების გადასახადის (ხარჯი) შეღავათი	21	-	(2,566)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		15,503	10,658
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი (ზარალი)		15,503	10,658

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და
ხელმოწერილი 2018 წლის 23 მაისს

ბნ. გ. მეზერიშვილი, გენერალური
დირექტორი

ი. ჯაქარიშვილი, ფინანსური
მენეჯერი

ქნ. კ. კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2017 დასრულებულ ი წლისათვის	31.12.2016 დასრულებული წლისათვის
ამონაგები	16	75,733	66,908
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	1,036	885
პერსონალის ანაზღაურება		(30,772)	(25,888)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7,8	(13,486)	(13,185)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(16,901)	(15,900)
საოპერაციო მოგება		15,610	12,820
ფინანსური მოგება	19	4,606	5,839
ფინანსური ხარჯები	20	(4,713)	(5,435)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		15,503	13,224
მოგების გადასახადის (ხარჯი) შეღავათი	21	-	(2,566)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		15,503	10,658
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი (ზარალი)		15,503	10,658

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

_____ ბნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური _____ ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური
დირექტორი მენეჯერი
_____ ქნ. კ. კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქაერონავიგაცია
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებულ წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	75,867	65,197
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(40,421)	(42,710)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსევა	35,446	22,487
გადახდილი პროცენტი	(6,433)	(3,738)
გადახდილი მოგების გადასახადი	(126)	(129)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	28,887	18,620
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	4	55
ძირითადი საშუალებების შეძენა	(27,527)	(40,049)
სესხების დაფარვა	1,044	916
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(26,479)	(39,078)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის სახით მიღებული თანხები	-	-
სესხების გადახდა	(1,110)	(1,040)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(1,110)	(1,040)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	1,298	(21,498)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13,338	34,620
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	245	216
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	14,881	13,338

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

დირექტორი

ზნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური

მენეჯერი

ზნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური

ქნ. კ. კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2017 დასრულებული წლისათვის	31.12.2016 დასრულებულ ი წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	75,867	65,197
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(40,421)	(42,710)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	35,446	22,487
გადახდილი პროცენტი	(6,433)	(3,738)
გადახდილი მოგების გადასახადი	(126)	(129)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	28,887	18,620
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი	4	55
ძირითადი საშუალებების შეძენა	(27,527)	(40,049)
სესხების დაფარვა	1,044	916
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(26,479)	(39,078)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის სახით მიღებული თანხები	-	-
სესხების გადახდა	(1,110)	(1,040)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(1,110)	(1,040)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	1,298	(21,498)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13,338	34,620
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	245	216
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	14,881	13,338

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

_____ ბნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური _____ ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური
დირექტორი მენეჯერი
_____ ქნ. კ. კაზარია, მთავარი ბუღალტერი

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	61,833	54,429	116,262
2016 წლის სრული შემოსავალი	-	10,658	10,658
სააქციო კაპიტალის ნეტო ზრდა	(65)	-	(65)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	61,768	65,087	126,855
2017 წლის სრული შემოსავალი	-	15,503	15,503
სააქციო კაპიტალის ნეტო ზრდა	(555)	-	(555)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	61,213	80,590	141,803

გომპანის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

დირექტორი

ბნ. გ. მეზერიშვილი, გენარალური

მენეჯერი

ზმ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური

ქნ. კ. კაზარიანი, მთავარი ბუღალტერი

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	61,833	54,429	116,262
2016 წლის სრული შემოსავალი	-	10,658	10,658
სააქციო კაპიტალის ნეტო ზრდა	(65)	-	(65)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	61,768	65,087	126,855
2017 წლის სრული შემოსავალი	-	15,503	15,503
სააქციო კაპიტალის ნეტო ზრდა	(555)	-	(555)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	61,213	80,590	141,803

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი 2018 წლის 25 მაისს

_____ ბნ. გ. მეზვრიშვილი, გენერალური _____ ბნ. ი. ზაქარეიშვილი, ფინანსური
დირექტორი მენეჯერი
_____ ქნ. კ. კაზარია, მთავარი ბუღალტერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს საქართვეგაციისათვის (შემდეგში, „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

1995 წლის 19 დეკემბერს კომპანია დაფუძნდა როგორც სახელმწიფო კომპანია, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიად დარეგისტრირდა 1999 წლის 6 დეკემბერს (სასამართლოს სარეგისტრაციო ნომერი: N714-1327).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი და სანავიგაციო მომსახურება საქართველოს საჰაერო სივრცეში, აგრეთვე თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და მესტიის აეროპორტებში საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი დაშვებისას და აფრენისას და აგრეთვე მასთან დაკავშირებული მომსახურება.

2014 წლის 1 იანვრიდან საქართველო გახდა ევროკონტროლის მეორე წევრი. საჰაერონავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაცია (EUROCONTROL) არის მთავრობათაშორის სამხედრო-სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც, პარტნიორობთან ერთად, ორიენტირებულია ერთიანი ევროპის საჰაერო სივრცის დანერგვაზე, რაც ხელს შეუწყობს ოცდამეერთე საუკუნისა და შემდგომი პერიოდებისთვის აუცილებელ საჰაერო მოძრაობის მართვის განხორციელებას.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისის აეროპორტი, 0158, საქართველო.

2017 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 794 თანამშრომელი (2016: 772 თანამშრომელი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს აქტის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კომპანიამ შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს გაქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმდებარე ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული

დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლესა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწრით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვალებას, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კვოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც 'სხვა ფინანსური ვალდებულებები' და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობის ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის 'ჩვეულებრივი გზა') დადგენილ ვადებში, აისახება

გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივა ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი "გავლითი შეთანხმება", ხოლო ამავე დროს (ი) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (იი) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებული, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის საღირცხოვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც კომპანიას გადმოეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან, შეფასებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და იზომება ჩვეულებრივ, თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერაზე, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდგენიარად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	7
მოწყობილობები და აპარატურა	8
საოფისე აღჭურვილობა	3 - 8
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	3 - 8

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების

გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომელის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის განმაპირობელი მოვლენები"), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიუკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მასთან დაკავშირებული გირაოს[უზრუნველყოფის

საშუალების], თუ ის არსებობს, რეალიზებადობა. შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომელიც ასევე გამოიყენება იმის დასადგენად არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის არსებობის დასადგენად, შემდეგია:

- თანხის ნებისმიერი ნაწილი, ან შესატანი თანხის გადახდა ვადაგადაცილებულია და გვიანი გადახდა არ მიეწერება ანგარიშსწორების სიტემით გამოწვეულ დაბრკოლებას;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის მიერ გადახდის მდგომარეობაში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განაპირობებს მთელს ქვეყანაში, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შეცვლამ, რამაც ზეგავლენა მოახდინა კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარეზე; ან
- გირაოს ღირებულება, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტრებული ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც წარმოშობილი არ ყოფილა), რომელთა დისკონტირებაც ხდება მოცემული აქტივის თავდაპირველი ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში აისახება ფულად ნაკადები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაგირავებული აქტივის უმცირესი ფასებით გაყიდვით ან შესყიდვით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დაგირავებულ აქტივზე უფლების დაკარგვის საშიშროება.

იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. შემდგომ ამოღებული თანხები, რომელიც ადრე იქნა ჩამოწერილი, დაერიცხება სხვა შემოსავლის ანგარიშს მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები. ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით

ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლისათვის. დასაბრუნებელი დღე ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ს მიმართ, დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღე-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღე-ს ჩათვლით.

ნასესხები საშუალებები. ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, - რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას, ან წარმოებას, და რაც აღიარებულია რეალური ღირებულებით და რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის (განსაკუთრებული აქტივები) საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი, - კაპიტალიზაცია ხდება როგორც ამ აქტივების ღირებულების ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი, ან მის შემდგომ თარიღი.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კომპანია არ გასწევდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გაიანგარიშება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულებით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ხდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების, შემცირებული ამ სესხით სარგებლობის დროებით ინვესტირებაზე გაწეული საინვესტიციო შემოსავალით, - კაპიტალიზება.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები აღიარებულია მათი რეალური ღირებულებით, როდესაც გონივრული რწმუნება არსებობს, რომ კომპანია მიიღებს გრანტს ყველა დათქმული პირობით. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები ასახულია გრძელვადიან ვალდებულებებში როგორც გადავადებული შემოსავალი და მოგებაში ან ზარალში აისახება წრფივი მეთოდის გამოყენებით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადით.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მერე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ('ქართული ლარი').

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. სცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 (2014 წელი: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2.794 ლარი).

ამონაგების აღიარება. გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები. გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება

უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზლუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- კომპანიამ უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომლისგანაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ კომპანიას შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვით სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის "ფინანსური ინსტრუმენტები" ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შესადარისი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

ფასს (IFRS) 15 "შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „კომპანია“ აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით.

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევ გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ცვლილებები ფასს 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შედეგები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

ცვლილებები ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაზღვრელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

ქვემოთ ჩამოთვლილია გამოქვეყნებული სტანდარტები, რომელთა დანერგვა სავალდებულოა 2016 წლის 1 იანვრიდან. მათი წინსწრებით დანერგვა არ მომხდარა და კომპანია არ ელის, რომ მათ დანერგვას ექნება რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს 9, „ფინანსური ინსტრუმენტები“ - განიხილავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვასა და აღიარების შეწყვეტას, აგრეთვე აყალიბებს ახალ წესებს ჰეჯირების ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი წინსწრებით დანერგვა ნებადართულია. კომპანია არ ელის, რომ სტანდარტით განსაზღვრული კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების შეწყვეტის წესების ცვლილებას რაიმე გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე. ახალ სტანდარტს, ამასთანავე, არ ექნება გავლენა ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვაზე, ვინაიდან ცვლილებები ეხება სამართლიანი ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ ვალდებულებებს; კომპანიაში ამგვარი ვალდებულებები არ არსებობს. კომპანიას არ გააჩნია ჰეჯირების ინსტრუმენტები, შესაბამისად ჰეჯირების ახალ წესებს არ აქვთ რაიმე გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალმა მოდელმა - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი (expected credit loss (ECL))“ შეიზღუბა გამოიწვიოს ზარალის უფრო ადრე აღიარება ვიდრე ეს აქამდე ხორციელდება კომპანიაში.
- ფასს 15, „შემოსავლების მომხმარებელთა კონტრაქტებიდან“ - ჩაანაცვლებს ბასს 18-სა და ბასს 11-ს. ახალი სტანდარტით შემოსავლების აღიარების დროდ განისაზღვრება მომსახურებასა თუ საქონელზე მომხმარებლის კონტროლის მოპოვების მომენტი; კონტროლის ცნება ანაცვლებს ამჟამად არსებულ რისკისა და სარგებლის ცნებებს. სტანდარტი ძალაში შედის 2017 წლის პირველი იანვრიდან. კომპანია აანალიზებს სტანდარტის დანერგვის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებზე.
- ცვლილებები ფასს 11, „ერთობლივი საქმიანობა“ - ეხება ერთობლივ საქმიანობაში წილის მოპოვებას. განახლებული სტანდარტი ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან. ამ სტანდარტს არ აქვს რაიმე შემხებლობა კომპანიის საქმიანობასთან.
- ცვლილებები ბასს 16, „ძირითადი საშუალებები“ და ბასს 38, „არამატერიალური აქტივები“ - განმარტავს ცვეთისა და ამორტიზაციის შემოსავლებზე დაფუძნებული კალკულაციის მეთოდებს. სტანდარტი ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და არ იქონიებს რაიმე გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ აღრიცხვაზე.

შპს საქართვეგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ცვლილებები ბასს 16, „ძირითადი საშუალებები“ და ბასს 41, „სოფლის მეურნეობა“ - ეხება მსხმოიარე მცენარეების აღრიცხვას. სტანდარტები ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან და არ იქონიებენ რაიმე გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ არღიცხვაზე.
- ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში ინვესტორსა და მეკავშირე საწარმოს შორის აქტივების მიწოდებასთან დაკავშირებით. სტანდარტები ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან და არ იქონიებენ რაიმე გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ არღიცხვაზე.
- ცვლილებები ბასს 27, „ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგება“ - სტანდარტი ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან და არ ახდენს რაიმე გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასა და ბუღალტრულ არღიცხვაზე.

6. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის უშუალო და საბოლოო მკონტროლებელი მხარე გახლდათ საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროთი. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში საპაერო სანავიგაციო მომსახურებას უწევს გარკვეულ მხარეებს, რომელთათვისაც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო კომპანიას უხდის მომსახურების საფასურს.

2017 და 2016 წლი 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

ოპერაციები	2017	2016
საქართველოს მთავრობა		
- საპროცენტო ხარჯი	950	364
ძირითადი ხელმძღვანელი პირები		
- მოკლევადიანი სარგებელი	626	507
- კომპანიის შენატანები საპენსიო ფონდში	83	-

ნაშთები	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
საქართველოს მთავრობა		
- მიღებული სესხები	5,848	5,572
- სესხებზე დაგროვილი პროცენტი	343	278
- სახელმწიფო გრანტი	-	1,028

შპს საქართვეგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2017 წელს:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	მოწყობილობები და აპარატურა	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე მოწყობილობები	ავტომობილები	სხვა
ისტორიული ღირებულება 01.01.17	60,536	124,439	6,264	26,527	6,972	7,470	232,208
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(20,076)	(89,457)	(3,979)	(2,198)	(5,665)	(1,505)	(122,880)
ცვეთა	(9,480)	(77,490)	(3,785)	-	(5,508)	(1,454)	(97,717)
გაუფასურება	(10,596)	(11,967)	(194)	(2,198)	(157)	(51)	(25,163)
საბალანსო ღირებულება 01.01.17	40,460	34,982	2,285	24,329	1,307	5,965	109,328
შეძენა	235	1,143	90	19,264	1,273	190	22,195
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	5,558	4,693	384	(10,662)	27	-	-
გაუფასურების ტრანსფერი	(40)	-	-	40	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(34)	(34)
გასული მ. ს.-ის დაგროვილი ცვეთის განულება	-	-	-	-	-	34	34
ჩამოწერა	(701)	-	-	(53)	-	-	(754)
ჩამოწერილი მ.ს.-ის	9	-	-	-	-	-	9
გაუფასურების განულება ცვეთის თანხა	(1,979)	(9,572)	(510)	-	(508)	(411)	(12,980)
საბალანსო ღირებულება 31.12.17	43,542	31,246	2,249	32,918	2,099	5,744	117,798
ისტორიული ღირებულება 31.12.17	65,628	130,274	6,739	35,076	8,271	7,625	253,613
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(22,085)	(99,029)	(4,489)	(2,158)	(6,173)	(1,881)	(135,815)
ცვეთა	(11,458)	(87,062)	(4,295)	-	(6,016)	(1,831)	(110,662)
გაუფასურება	(10,627)	(11,967)	(194)	(2,158)	(157)	(50)	(25,153)
საბალანსო ღირებულება 31.12.17	43,543	31,245	2,249	32,918	2,098	5,744	117,798

2017 წლის ძირითადი მატება მოიცავს დაუმთავრებელ მშენებლობას 19 264 ათასი ლარით, (2016: 25 921 ათასი ლარი). მშენებლობა მოიცავს სანავიგაციო აღჭურვილობას და დანადგარებს. დამთავრების შემდგომ, აქტივი ძირითად საშუალებების შესაბამის კლასში გადადის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაუფასურებული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 89,203 ლარია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2016 წელს:

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მოწყობილობები და აპარატურა	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	საოფისე მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.16	49,010	110,972	5,823	16,913	6,748	2,141	191,607
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(18,349)	(80,394)	(3,538)	(2,198)	(5,296)	(1,337)	(111,112)
ცვეთა	(7,748)	(68,379)	(3,344)	-	(5,136)	(1,285)	(85,892)
გაუფასურება	(10,601)	(12,015)	(194)	(2,198)	(160)	(52)	(25,220)
საბალანსო ღირებულება 01.01.16	30,661	30,578	2,285	14,715	1,452	804	80,495
შეძენა	10,357	517	75	25,921	385	5,418	42,673
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	1,448	13,744	372	(15,563)	-	-	1
გასვლა	-	(479)	-	-	(5)	(89)	(573)
გასული მ. ს.-ის დაგროვილი ცვეთის განულება	-	479	-	-	5	88	572
ჩამოწერა	(283)	(315)	(5)	(744)	(156)	-	(1,503)
ჩამოწერილი მ.ს-ის დაგროვილი ცვეთის განულება	37	266	5	-	151	-	459
ჩამოწერილი მ.ს-ის გაუფასურების განულება ცვეთის თანხა	9	48	-	-	3	-	60
	(1,769)	(9,856)	(447)	-	(528)	(256)	(12,856)
საბალანსო ღირებულება 31.12.16	40,460	34,982	2,285	24,329	1,307	5,965	109,328
ისტორიული ღირებულება 31.12.16	60,536	124,439	6,264	26,527	6,972	7,470	232,208
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(20,076)	(89,457)	(3,979)	(2,198)	(5,665)	(1,505)	(122,880)
ცვეთა	(9,480)	(77,490)	(3,785)	-	(5,508)	(1,454)	(97,717)
გაუფასურება	(10,596)	(11,967)	(194)	(2,198)	(157)	(51)	(25,163)
საბალანსო ღირებულება 31.12.16	40,460	34,982	2,285	24,329	1,307	5,965	109,328

შპს საქართველოს

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური საბალანსო ღირებულების ცვლილება 2017 წელს:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.17	3,478	3,478
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,750)	(1,750)
ცვეთა	(1,455)	(1,455)
ამორტიზაცია	(295)	(295)
საბალანსო ღირებულება 01.01.17	1,728	1,728
შემენა	232	232
ცვეთის თანხა	(506)	(506)
საბალანსო ღირებულება 31.12.17	1,454	1,454
ისტორიული 31.12.15	3,710	3,710
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(2,256)	(2,256)
ცვეთა	(1,961)	(1,961)
ამორტიზაცია	(295)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.17	1,454	1,454

არამატერიალური საბალანსო ღირებულების ცვლილება 2016 წელს:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ან გადაფასებული ღირებულება 01.01.16	1,847	1,847
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,422)	(1,422)
ცვეთა	(1,127)	(1,127)
ამორტიზაცია	(295)	(295)
საბალანსო ღირებულება 01.01.16	425	425
შემენა	1,633	1,633
ცვეთის თანხა	(330)	(330)
საბალანსო ღირებულება 31.12.16	1,728	1,728
ისტორიული ან გადაფასებული ღირებულება 31.12.16	3,478	3,478
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,750)	(1,750)
ცვეთა	(1,455)	(1,455)
ამორტიზაცია	(295)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.16	1,728	1,728

9. გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისათვის		
გრძელვადიანი ავანსები ძირითადი საშუალებებისათვის	3,747	2,140
გაუფასურების რეზერვი	(106)	-
სულ ავანსები გრძელვადიანი აქტივებისათვის	3,641	2,140

გაუფასურება დაკავშირებულია 12 თვეზე მეტი ხნის წინ გაკეთებულ ავანსებთან, რომელთა შედეგად არაფერია მიღებული ან არ არის მოსალოდნელი რომ კომპანია მიიღებს რაიმეს.

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სათადარიგო ნაწილები	2,730	1,420
სხვა	25	25
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,755	1,445

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	17,384	17,461
გაუფასურების რეზერვი	(5,871)	(5,605)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	11,513	11,856
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	790	782
გაუფასურების რეზერვი	(769)	(769)
წმინდა ფინანსური ღირებულებები	11,534	11,869
წმინდა საგადასახადო აქტივები	2,757	3,564
გაცემული ავანსები	604	586
ავანსების გაუფასურების რეზერვი	(489)	(489)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	14,406	15,530

წმინდა სავაჭრო დებიტორული დავალიანება 10,713 ლარი (2016: GEL 9,572) ათასი ლარის ოდენობით დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად 99% ევროში, (2016: 99%), და აშშ დოლარში 1% (2016: 1%).

12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	11,388	10,153
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11,388	10,153

13. ნასესხები საშუალებები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ვადიანი სესხები - გრძელვადიანი	5,848	5,572
ვადიანი სესხები - მიმდინარე ნაწილი	343	278
სულ ნასესხები საშუალებები	6,191	5,850

კომპანიის სესხები დენომინირებული ევროებში.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას და არ გაუფორმებია არცერთი ჰეჯირების შეთანხმება უცხოურ ვალუტაში ვალდებულების ან საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში.

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31 დეკემბერი 2017:

	გრანტის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი	დასაფარი თანხა ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული 1-ლი ტრანში	19-Feb-09	31-Mar-27	24.00%	270	838
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული მე-2 ტრანში	23-May-09	30-Jun-27	16.76%	1,383	4,292
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული მე-3 ტრანში	29-Sep-09	30-Sep-27	9.54%	342	1,061
სულ ნასესხები საშუალებები				1,994	6,191

31 დეკემბერი 2016:

	გრანტის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი	დასაფარი თანხა ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული 1-ლი ტრანში	19-Feb-09	31-Mar-27	24.00%	279	781
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული მე-2 ტრანში	23-May-09	30-Jun-27	16.76%	1,450	4,053
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული მე-3 ტრანში	29-Sep-09	30-Sep-27	9.54%	364	1,017
სულ ნასესხები საშუალებები				2,094	5,851

2009 წელს ვადიან სესხი საკონტრაქტო თანხით 4,690 ათასი ევრო, საქართველოს სახელმწიფომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით სამ ტრანშად მისცა 2009 წლის 30 იანვარს დადებული გადასესხების ხელშეკრულების საფუძველზე. სესხი დაიხარჯა თბილისის აეროპორტში სარადარო სისტემის შექმნისათვის. სარადარო სისტემის მშენებლობა და ტესტირება დასრულდა და აქტივი 2009 წლის ნოემბრიდან გამოიყენება. სესხის დაფარვის ვადაა 18 წელი, საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთია 1.1%. ძირითადი თანხის გადახდის საშუალებით პერიოდია 78 თვე, ხოლო აღიარების თარიღით შეფასებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გახლდათ 15.87%. შეფასება ეფუძნებოდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ევრობონდების, რომელიც დოლარებშია დენომინირებული და ევროპულ საფონდო ბირჟაზე იყიდება, უკუგების შიდა განაკვეთს. სარგებელი, რომელიც გამოთვლილია, როგორც სხვაობა სესხით მიღებულ თანხასა და სესხის თავდაპირველ რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, აღრიცხულია, როგორც სახელმწიფო გრანტი (მე-14 შენიშვნა).

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების და ნაშთების განმარტებებისთვის იხილეთ მე-6 შენიშვნა.

მიმდინარე სესხების სამართლიანი ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით საბალანსო ღირებულების ტოლია.

14. სახელმწიფო გრანტები

2009 წელს კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო სესხი საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. სარგებელი, რომელიც გამოთვლილია, როგორც სხვაობა სესხით მიღებულ თანხასა და სესხის თავდაპირველ რეალურ ღირებულებას შორის, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, აღრიცხულია, როგორც სახელმწიფო გრანტები:

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სახელმწიფო გრანტები 1 იანვრის მდგომარეობით	1,028	2,055
სახელმწიფო გრანტის განწილვადობა	(1,028)	(1,027)
სახელმწიფო გრანტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,028

გრანტი მოგება-ზარალში ამორტიზირდა წრფივი მეთოდით 8 წლიან პერიოდზე.

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	3,104	5,161
გადასახდელი გადასახადი, გარდა მოგების გადასახადისა	-	2,012
გადასახდელი ხელფასები	2,892	2,237
გადასახდელი ქონების გადასახადი	-	763
სხვა კრედიტორული დავალიანება	4	5
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6,000	10,177

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 2,028 ლარი (2016: 4,383) ათასი ლარის ოდენობით დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად 84% ევროში, (2016: 92%) და აშშ დოლარებში, 14% (2016: 7%).

16. შემოსავლის ანალიზი კატეგორიების მიხედვით

	2017	2016
შემოსავალი ტრანზიტულ რეისებზე საჰაერო ნავიგაციის მომსახურების გაწევიდან	49,573	47,431
შემოსავალი დაშვების/აფრენის მომსახურებიდან	25,583	19,273
სხვა შემოსავალი	577	204
სულ შემოსავალი	75,733	66,908

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2017	2016
სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია	1,028	1,027
სხვა შემოსავალი	8	(142)
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,036	885

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
ტექნიკური პერსონალის ტრეინინგი	2,497	2,620
რემონტის ხარჯები	2,363	2,335
ევროკონტროლის საწვერო გადასახადი	2,052	1,951
სამსახურებრივი მივლინებები	1,550	2,003
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	1,529	1,171
სხვა ხარჯები	1,462	777
დაზღვევის ხარჯი	1,206	705
კომუნალური ხარჯები	829	704
სატესტო ფრენები	765	542
კომუნიკაციის ხარჯები	570	564
რეგულირების ხარჯი	502	423
მასალების ღირებულება	396	700
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი შენიშვნა 13)	372	651
ტრანსპორტირების ხარჯები	241	182
ევროკონტროლის ადმინისტრაციული გადასახადი	158	166
ბანკის მომსახურების ხარჯი	142	140
წარმომადგენლობითი ხარჯი	131	177
მომსახურების ხარჯი	108	55
რეკლამის ხარჯი	15	10
იჯარის ხარჯი	13	24
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	16,901	15,900

19. ფინანსური შემოსავალი

	2017	2016
შემოსულობა საკურსო სხვაობიდან	3,561	4,926
საპროცენტო შემოსავალი	737	743
საპროცენტო შემოსავალი (საპენსიო ფონდი)	308	170
სულ ფინანსური შემოსავალი	4,606	5,839

20. ფინანსური ხარჯები

	2017	2016
ზარალი საკურსო სხვაობიდან	3,763	5,071
საპროცენტო ხარჯი	950	364
სულ ფინანსური ხარჯები	4,713	5,435

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს საქართველო

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი 2015 წ.	მოგება-ზარალი დარიცხული) დაკრედიტებული	საკუთარ კაპიტალზე დარიცხული) დაკრედიტებული	31 დეკემბერი 2016 წ.
გამოქვითვადი/დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა				
ძირითადი საშუალებები	(109)	109	-	-
წინასწარგადახდები გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივებისთვის	125	(125)	-	-
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	270	(270)	-	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	671	(671)	-	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	362	(362)	-	-
სესხები და სახელმწიფო გრანტები	(609)	609	-	-
ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	710	(710)	-	-

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუჩნდეთ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

23. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის

შპს საქართვეგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31/12/2017	31/12/2016
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	11,513	11,856
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	21	13
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	14,881	13,338
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	26,415	25,207

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი 2017 წ.			31 დეკემბერი 2016 წ.		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	10,969	1,080	9,889	8,408	783	7,625
აშშ დოლარი	5,838	285	5,553	4,638	292	4,346
ევრო	12,705	7,885	4,820	12,156	9,876	2,280
სხვა	5	49	(44)	5	65	(60)
სულ	29,517	9,299		25,207	11,016	

შპს საქართველოს საკრედიტო

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2017 წ.		31 დეკემბერი 2016 წ.	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	555	472	435	369
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(555)	(472)	(435)	(369)
ევროს გამყარება 10%-ით	482	410	228	194
ევროს დასუსტება 10%-ით	(482)	(410)	(228)	(194)
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	(4)	(4)	-	-
სხვა ვალუტის დასუსტება 10%-ით	4	4	-	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტული აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდება კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები მე-13 შენიშვნა)	865	859	7,097	3,425	12,246
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება მე-15 შენიშვნა)	3,108	-	-	-	3,108
სულ მომავალში გადასახდელები, მათ შორის ძირითადი და პროცენტის თანხები	3,973	859	7,097	3,425	15,354

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები საშუალებები მე-13 შენიშვნა)	599	597	4,682	6,245	12,123
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება მე-15 შენიშვნა)	5,166	-	-	-	5,166
სულ მომავალში გადასახდელები, მათ შორის ძირითადი და პროცენტის თანხები	5,765	597	4,682	6,245	17,289

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

24. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს

იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

25. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება*, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით ("FVTPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება	გასაყიდად არსებული აქტივები	ვაჭრობის თვის გამიზნული აქტივები	აქტივები, რომელიც განსაზღვრულია FVTPL -ის მიხედვით	დაფარვის ვადამდე ფლობილი	სულ
აქტივები						
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მე-12 შენიშვნა):						
- ნაღდი ფული	-	-	-	-	-	-
- საბანკო ნაშთები	14,881	-	-	-	-	-
მოთხოვნამდე						14,881
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები მე-11 შენიშვნა):						
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10,974	-	-	-	-	10,974
- სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	3,661	-	-	-	-	3,661
სესხები	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	29,516	-	-	-	-	29,516

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტო- რული დავალი ნება	გასაყიდად არსებული აქტივ- ები	ვაჭრობის თვის გამიზნუ- ლი აქტივები	აქტივები, რომელიც განსაზღვრ- ულია FVTPL-ის მიხედვით	დაფარვ- ის ვადამდე ფლობ- ილი	სულ
აქტივები						
<i>ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მე- 12 შენიშვნა):</i>						
- ნაღდი ფული	13,338	-	-	-	-	13,338
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	-	-	-	-	-	-
<i>სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები მე-11 შენიშვნა):</i>						
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	11,087	-	-	-	-	11,087
- სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	782	-	-	-	-	782
სულ ფინანსური აქტივები	25,207	-	-	-	-	25,207

26. არასახელმწიფო საპენსიო სქემა

	01/01/2017	საპროცენ- ტო შემოსავ- ალი	სოციალურ ი მონაწილე ობა	საინვესტ- იციო მოგება	ტრანზაქ- ციის ხარჯი	გადატან- ა	31/12/2017
საპენსიო ფონდის აქტივები							
საბანკო ანგარიში	3,185	308					3,493
სარგებლისათვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	-	-	2,254	80	(5)	-	2,328
უზრუნველყოფა	-	-	111	6		(4)	113
ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	-	-	471	18	(4)	11	497
გრძელვადიანი დეპოზიტები	-	-	1,442	56	-	(8)	1,490
მოთხოვნები	-	-	230	-		-	230
ვალდებულებები					(1)		(1)
სულ აქტივები	3,185	308	2,254	80	(5)	-	5,821
წმინდა ღირებულება							
საპენსიო ფონდი	3,014	-	-	-	-	-	3,014

შპს საქაერონავიგაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	170	308	-	-	-	-	479
სულ წმინდა ღირებულება	3,185	308					3,493
ვალდებულებები							
ტექნიკური რეზერვები	-	-	2,254	80	(5)	-	2,328
სულ ვალდებულებები	-	-	2,254	80	(5)	-	2,328

2015 წელს კომპანიამ დაარსა საპენსიო სქემა შპს „საქაერონავიგაციის“ თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიის სქემა არის დადგენილშენატანთან და განსაზღვრულია საბაზისო შრომის ანაზღაურების 18 და 7 პროცენტით, შესაბამისად კომპანიისა და თანამშრომლებისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს მოეთხოვება საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალის შექმნა და შენახვა (სქემის არსებობის განმავლობაში) სულ მცირე 2 მილიონი ლარის ოდენობით. კომპანიამ ფონდის კაპიტალად განსაზღვრა 3,000 ლარი, რომელიც განათავსა ბანკში განცალკავებულ ანგარიშზე. ეს საგარანტიო აქტივი წარდგენილია როგორც გრძელვადიანი, შეზღუდული ფული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მინიმალურ კაპიტალზე (2,000 ლარი) მეტი ფული წარმოადგენს ნებაყოფლობით შეზღუდულ აქტვის, რომლის განკარგვაც კომპანიას შეუძლია თუკი ის ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს:

	31-Dec-17	31-Dec-16
კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური უზრუნველყოფა	2,000	2,000
ნებაყოფლობით შეზღუდული დამატებითი უზრუნველყოფა	1,000	1,000
ნებაყოფლობით შეზღუდული, საბანკო ანგარიშზე მიღებული საპროცენტო სარგებელი	493	185
სულ შეზღუდული ფული	3,493	3,185

საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება დაიწყო 2017 წელს. წლის განმავლობაში კომპანიის შენატანებმა შეადგინა 1,457 ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შენატანის დარიცხული ვალდებულებაა 165 ლარი.

27. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. კომპანიის წესდების მიხედვით სააქციო კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, რომელსაც დრო და დრო გასცემენ, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის აქციონერთა საბჭოს შეხვედრაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2017 წელს დამფუძნებლის მიერ მოხდა კაპიტალის 705 ლარით შემცირება და 150 ლარით გაზრდა.




შპს „საქაერონავიგაციის“
მმართველობითი ანგარიში

2018 წლის სექტემბერი

დოკუმენტი დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს "საქაერონავიგაციის" თანამდებობის პირები, რომლებმაც მოცემული ფორმით დაამტკიცეს წინამდებარე ანგარიში.

თანამდებობა	სახელი და გვარი / ხელმოწერა	თარიღი
ფინანსების მართვის საკითხების მენეჯერი	ირაკლი ზაქარეიშვილი 	28.09.2018
ადმინისტრაციული დირექტორი	გიორგი ედიშერაშვილი 	28.09.2018
გენერალური დირექტორი	ბოჩა მუხომარიშვილი 	28.09.2018



**BAKER TILLY
GEORGIA LTD**

7, Bambis Rigi
Tbilisi 0105, Georgia
Tel/Fax: (+995 32) 243 8999
E-mail: office@bakertillygeorgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

შპს საქაერონავიგაციის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შპს საქაერონავიგაციის (შემდგომში - კომპანია) ხელმძღვანელობამ მოამზადა მმართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) და გადმოგვცა იგი ჩვენ 2018 წლის 28 სექტემბერს.

ჩვენ ჩავატარეთ შპს საქაერონავიგაციის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2018 წლის 25 მაისს გავცეთ ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ უპირობო მოსაზრება. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადდა კომპანიამ/ჯგუფმა და წარმოადგინა მმართველობით ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთანავე, ჩვენი პასუხისმგებლობაა კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მათ არსავე ასევე განვაცხადოთ მმართველობით ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვაში) კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ მომხდარი მოვლენების ეფექტს. ამ მოვლენების ეფექტი, რომელიც მოცემულია მმართველობით ანგარიშში (საქმიანობის მიმოხილვაში), არ არის აუდიტებული ჩვენ მიერ.

ჩვენი მოსაზრება მმართველობით ანგარიშზე (საქმიანობის მიმოხილვაზე)

აუდიტორის პასუხისმგებლობის პირველ პარაგრაფთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობის მეორე პარაგრაფთან დაკავშირებით მოგახსენებთ რომ, ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გაოცალისწინებით შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით და ისინი წარდგენილია სრულად კანონის შესაბამისად.



BAKER TILLY
GEORGIA LTD

7, Bambis Rigi
Tbilisi 0105, Georgia
Tel/Fax: (+995 32) 243 8999
E-mail: office@bakertillygeorgia.ge

ბესიკ ბისეიშვილი წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ბესიკ ბისეიშვილი
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
4 დეკემბერი, 2018 წელი
თბილისი, საქართველო

ბიზნესმოდელის მოკლე მიმოხილვა

შპს „საქაერონავიგაცია“ 2014 წლის 1 იანვრიდან გახდა ევროკონტოლის 40 წევრი ქვეყანა. ამის შემდეგ შპს „საქაერონავიგაციას“ ევალება თავდაპირველი მონაცემები წარუდგინოს ევროკონტროლს არაუგვიანეს ყოველ წლის 1 ივნისისა და საბოლოო მონაცემების წარდგენა ხდება ყოველი წლის არაუგვიანეს 1 ნოემბერისა. ამის საფუძველზე ყოველწლიურად განისაზღვრება მარშრუტისა და ტერმინალის სააერონავიგაციო მომსახურების სატარიფო განაკვეთი.

შპს „საქაერონავიგაცია“ ხელმძღვანელობს ევროკონტოლის პრინციპებით, სადაც, ხარჯების ეკონომიკური და ფუნქციონირების შინაარსის მიხედვით, დაწვრილებით არის გაწერილი მეთოდოლოგიური მითითებები. ამ პრინციპების საფუძველზე შპს „საქაერონავიგაციაში“ ბიუჯეტისა და ბიზნეს-გეგმის (ბიზნესმოდელის) შედგენა მოიცავს რამდენიმე ეტაპს. პირველ რიგში გამოიცემა დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზეც იწყება ბიზნესმოდელის შემუშავების სამუშაოები. ამ სამუშაოებს ორგანიზებას უწევს ეკონომიკური სამსახური, რომელიც ყველა სტრუქტურულ ერთეულს უგზავნის წინასწარ შედგენილი მოდელის განაცხადის ფორმას არაფინანსური აქტივების არსებულ გეგმასთან ერთად. აღნიშნულ ფორმას სტრუქტურული ერთეულები საკუთარი საჭიროებების საფუძველზე ავსებენ და უბრუნებენ ეკონომიკურ სამსახურს. ამ ფორმაში ხდება ყველა საჭირო ინფორმაციის მითითება (შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობის, ღირებულების, შემსყიდველი სტრუქტურული ერთეულის, ხარჯის კატეგორიის კლასიფიკატორის კოდის და ა. შ. დადგენა). ამავე ეტაპზე ეკონომიკური სამსახურის მიერ ხდება კომპანიის საერთო ხარჯის (ხარჯი, რომელიც საერთოა ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის), ფრენების რაოდენობის და შესაბამისი შემოსავლის განსაზღვრა. ინფორმაციის სრულად მიღების შემდეგ ეკონომიკურ სამსახურში ხდება მიღებული სამსახურების ბიუჯეტების დამუშავება, რაც გულისხმობს ბიუჯეტის გაერთიანებას, განხილვას სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭიროების შემთხვევაში მის კორექციას

და მსხვილ კაპიტალურ პროექტებზე ინფორმაციის მიღებას. ბიუჯეტების გაერთიანების შემდეგ თითოეულ შემსყიდველ სამსახურს ეგზავნება მის მიერ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების გაერთიანებული განაცხადი. სამსახურები განიხილავენ მიღებულ ინფორმაციას და შესაბამისი დაზუსტების შემდეგ უბრუნებენ ეკონომიკურ სამსახურს. ეკონომიკური სამსახური კვლავ განიხილავს მიღებულ ინფორმაციას, ახდენს მის გადატანას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მონაცემთა შეგროვების ფორმებში და ბიუჯეტის საბოლოო ვერსიას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში განხილვისა და მისი დაზუსტების შემდეგ კომპანია უგზავნის სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დასამტკიცებლად. დამტკიცებული ბიუჯეტი კვლავ ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს როგორც განმცხადებელი, ასევე შემსყიდველი ერთეულების მიხედვით.

კომპანიის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია საჭაერო ხომალდების მოძრაობის ნაკადებისა და მასთან დაკავშირებული ელემენტების (წონის კოეფიციენტი, ფრენის მანძილი და მომსახურების ერთეული) სიდიდეების დადგენა, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია განვითარების ამოცანების გადაწყვეტა.

შპს „საქაერონავიგაცია“, საჭაერო ხომალდების მოძრაობის ფრენათა ნაკადებისა და მასთან დაკავშირებული ელემენტების (წონის კოეფიციენტი, ფრენის მანძილი და მომსახურების ერთეული) დაპროგნოზებას, ევროპის საჭაერო მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციაში, ევროკონტროლში გაწევრიანების შემდგომ, საქართველოს საჭაერო სივრცეში ფრენების ნაკადების განსაზღვრისათვის საკუთარ მეთოდოლოგიასთან ერთად (ექსტრაპოლაცია, ერთდროული რეგრესიული განტოლებები, ეკონომიკური მწკრივების სპექტრალური ანალიზი, სრიალა საშუალოთა მეთოდი, ეკონომეტრიკული მეთოდი ფორსმაჟორული ფაქტორით და სხვ.) აქტიურად იყენებს ევროკონტროლის, კერძოდ კი, ამ კუთხით მომუშავე მისი

ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის, STATFOR-ის (სტატისტიკისა და პროგნოზირების სამსახური) მეთოდოლოგიას.

STATFOR-ს შეიმუშავენ დაპროგნოზების სამ ძირითად პროდუქტს:

- **მოკლევადიანი** (ორ წლამდე) პროგნოზები, რომლებიც მნიშვნელოვანია მიმდინარე სიტუაციის ასახვისათვის თვიდან თვემდე. მოცემული პროგნოზი ქვეყნდება წელიწადში ოთხჯერ.
- **საშუალოვადიანი პროგნოზები** (7 წლიანი პერიოდი) ეფუძნება მოკლევადიან პროგნოზებს. საშუალოვადიანი პროგნოზები ახდენს ფრენების სტატისტიკის კომბინაციას ისეთ მაჩვენებლებთან, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა და საჰაერო სივრცის ინდუსტრიის ისეთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ სიდიდეებთან, როგორებიცაა ხარჯები, აეროპორტების ტევადობა, მგზავრთა ნაკადი, დაყოვნების ფაქტორები, საჰაერო ხომალდის ზომა და ა.შ.
აღნიშნული სახის პროგნოზები გვაძლევს ევროკონტროლის საჰაერო სივრცეში საჰაერო ნაკადის განვითარების სრულყოფილ სამომავლო სურათს. მოცემულ პროგნოზში, ფრენათა მაღალი და დაბალი ზღვრის სცენარის გამოყენებით, წარმოდგენილია ინსტრუმენტული ფრენის პროგნოზის სავარაუდო საზღვრები. საშუალოვადიანი პროგნოზი ქვეყნდება თებერვალში და მისი განახლება ხდება სექტემბერში.
- **გრძელვადიანი პროგნოზები** ქვეყნდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. ეს პროგნოზები განიხილავს საჰაერო სივრცის ინდუსტრიის სავარაუდო განვითარების რამდენიმე სცენარს 20 წლიან პერიოდზე.

EUROCONTROL/STATFOR-სა და შპს „საქაერონავიგაციას“ შორის ორმხრივი თანამშრომლობა ყოველწლიურად წარიმართება საშუალოვადიანი პროგნოზების შემუშავებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვიხილავთ სწორედ მოცემული სახის პროგნოზის შემუშავების მეთოდოლოგიას.

EUROCONTROL/STATFOR-ი უზრუნველყოფს საჰაერო სატრანსპორტო სფეროს მიუკერძოებელ პროგნოზს, ბაზრის ანალიზსა და სტატისტიკას საჰაერო მოძრაობის

მართვის მენეჯმენტისათვის. მისი დახმარებით, მენეჯმენტი კარგად არის ინფორმირებული, და უადვილდება კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება, რაც აუმჯობესებს მთლიანობაში ქსელის მუშაობას.

STATFOR-ი აქვეყნებს ევროპისთვის მომდევნო 7 წელზე გათვლილ ინსტრუმენტული (IFR) ფრენებისა და მარშრუტის მომსახურების ერთეულის პროგნოზს. მთავარი განახლებული პროგნოზი ქვეყნდება ყოველი წლის თებერვალში. მისი ძირითადი მიმართულებაა ფრენის პროგნოზები სახელმწიფოებისა და უფრო დიდი რეგიონებისათვის. აღნიშნული ზეგავლენას ახდენს პროგნოზის შემუშავების პროცესში საპროგნოზო მოდელის შერჩევის საკითხზე. EUROCONTROL-ის სხვა ერთეულები ამ ზედა დონის პროგნოზს იყენებენ აეროპორტების, საკონტროლო ცენტრების, სექტორებისა და სხვა ერთეულების დონეზე პროგნოზის დასამუშავებლად.

განსახილველ მეთოდოლოგიაში ფრენების რიცხვი დამოკიდებულია მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთმიმართებაზე: ავიახაზი ასრულებს ფრენას „ა“ აეროპორტიდან „ბ“ აეროპორტამდე, რადგან მას ჰყავს მომხმარებლები, რომლებიც ფულს იხდიან „ა“ აეროპორტიდან „ბ“ აეროპორტამდე მგზავრობისათვის ან ტვირთის გადატანისათვის. მიწოდება და მოთხოვნა თავის მხრივ განპირობებულია ისეთი სხვადასხვა ფაქტორით, როგორიცაა ეკონომიკა, რეგულაცია, დემოგრაფია, ბიზნესის განვითარება, ნავთობის ფასები, მაღალსიჩქარიანი მატარებელი. პროგნოზის შემუშავებისას გამოიყენება აღნიშნული ფაქტორების ამსახველი სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე ის მონაცემებიც, რომლებიც უფრო ზუსტად აღწერენ მიმდინარე და სამომავლო მოვლენებს (შესრულებული ფრენების რაოდენობა და ფრენათა დაგეგმილი განრიგი). ზოგიერთი მონაცემი უფრო რელევანტურია მოკლევადიანი პროგნოზისათვის (მაგ. ავიახაზების განრიგი), ხოლო სხვა მონაცემები გამოიყენება საშუალოვადიანი პროგნოზისათვის (მაგ. დემოგრაფიული მახასიათებლები). პროგნოზის სამ ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემად, ითვლება:

- **ეკონომიკური ზრდა** - მისი პროგნოზი მიიღება ინფორმაციის გარე წყაროებიდან. ეს მონაცემები ბოლო წლებში ძალიან ცვალებადია. ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდა შენელებულია, მაგრამ არსებულ მონაცემებში არაფერია იმის მანიშნებელი, რომ ეკონომიკური ზრდა არ განაპირობებდეს ფრენების რაოდენობის ზრდას;
- **რეგულაცია**, მაგალითად, ვიზის გაცემის, ღია ცის პოლიტიკის, აეროპორტის დაფინანსების და საავიაციო გადასახადების მარეგულირებელი წესები;
- **ტრანზიტულ ფრენათა სტრუქტურა**, უმეტეს სახელმწიფოებში - ფრენების დიდი ნაწილი ტრანზიტული ფრენებია. (მაგალითად, საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებული ფრენებიდან თითქმის 65 პროცენტი ტრანზიტული ფრენაა). ამდენად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის კრიზისს (მაგალითად, უკრაინის) შეუძლია, მარტივად შეცვალოს რიგ სახელმწიფოში ფრენების რაოდენობა 10 პროცენტით ან მეტით, ტრანზიტულ ფრენათა მარშრუტების გადანაცვლებათა გამო. მიუხედავად იმისა, რომ ფრენების მთლიანი რაოდენობა შეიძლება მცირედით იცვლებოდეს მთლიან საჰაერო სივრცეში.

სამუშაოდ, პროგნოზის კომპონენტები, შესაძლოა, დაჯგუფდეს 5 ელემენტად:

- მომდევნო 7 წლის საწყისი წლიური პროგნოზი ეფუძნება ეკონომიკის, სატრანსპორტო და განვითარების სხვა ტენდენციებს;
- თვითური პროგნოზი ეფუძნება ტენდენციებს, ეკონომიკას და ავიახაზების გეგმებს;
- შემდგომ ეტაპზე ხორციელდება ამ ორი პროგნოზის შერწყმა, და მიღებული პროგნოზის შედეგების დაზუსტება და კორექცია აეროპორტის ტევადობის გათვალისწინებით და ასე მიიღება შეჯერებული პროგნოზი;
- ფრენების პროგნოზის ბოლო ეტაპია ფრენების რაოდენობის გაანგარიშება თითოეული ქვეყნის მიხედვით, რომლის დროსაც გაითვალისწინება

ტრანზიტულ ფრენათა მონაცემები, წინა პერიოდის მონაცემები და მიმდინარე ტენდენციები.

- მომსახურების ერთეულის (SU-Service Unit) რაოდენობა ფასების დაწესების ველში დამოკიდებულია ფრენების რიცხვზე, საჰაერო ხომალდის წონაზე, ხოლო ტრანზიტის შემთხვევაში - ნაფრენ მანძილზეც. ამგვარად, მომსახურების ერთეულის ეს ორი პროგნოზი (იგულისხმება ტრანზიტი და ტერმინალი), საწყის, დამოუკიდებელ ცვლადად იყენებს ფრენის მონაცემებს და შემდგომ ხდება მისი შეჯერება საჰაერო ხომალდის წონის კოეფიციენტებისა და საჭიროების შემთხვევაში ნაფრენი დისტანციის მონაცემთა დროით მწკრივებთან. ბოლოს, ორივე პროგნოზის ჯამი გვაძლევს მთლიანი მომსახურების ერთეულის მაჩვენებელს, საიდანაც გაიანგარიშება გადასახდელი მომსახურების ერთეულის სიდიდე.

მთლიანობაში, საჰაერო ნაკადების, ანუ ფრენათა დაპროგნოზებისათვის გამოიყენება საკმაოდ მაღალ დონეზე ავტომატიზებული და სტრუქტურიზებული პროცესი. ამავე დროს, ფაქტორებისა და შემავალი ცვლადების მრავალფეროვნების გამო გამოიყენება დაპროგნოზების სხვადასხვა ტექნიკა, ტრადიციული დროითი მწკრივის ექსპერტული შეფასების მეთოდები, ისტორიული პროცესების ექსტრაპოლაცია, ეკონომეტრიკული ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური, სოციალური და ოპერაციული ფაქტორების ზეგავლენას საჰაერო ნაკადების სამომავლო მაჩვენებლებზე,

სხვადასხვა სცენარზე დაფუძნებული მონაცემები - სამომავლო ანალიზისთვის (მაგალითად, როგორი იქნება ევროპა 10 წელიწადში?) და სპეციფიკურ მონაცემებზე დაფუძნებული მოდელები (მაგ. მაღალი სიჩქარის სარკინიგზო მოდელი). მოდელების შესამუშავებლად ყველა პროგნოზი ეფუძნება ისტორიულ მონაცემებსა და ბოლო დროის ტენდენციებს. მომავალი ყოველთვის ბუნდოვანია. ამ განუზღვრელობის დაძლევა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ხდება პროგნოზის სამი სცენარით: ზრდის დაბალი და მაღალი ვარიანტებით და ყველაზე მეტად სავარაუდო

პროგნოზით - მოცემულ ზღვრებს შორის. სამივე სცენარი წარმოადგენს რისკ-მენეჯმენტის ნაწილს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი სცენარის მიხედვით მიღებულ გადაწყვეტილებაში.

STATFOR-ის მიერ საბოლოო პროგნოზის მიღების შემდგომ, ევროკონტროლის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის პროცესში ხდება მიღებული შედეგების შემდგომი დახვეწა-დაზუსტება: თითოეულ წევრ-ქვეყანას წარედგინება მიღებული შედეგები ანალიზისათვის. სურვილისამებრ, წევრი ქვეყანა წარადგენს თავის დასაბუთებულ მოსაზრებას წევრ ქვეყანათა ერთობლივ სამუშაო შეხვედრაზე, სადაც, აზრთა ურთერთგაცვლის შემდგომ ყალიბდება პროგნოზის ფინალური შედეგი, რომელიც ბოლო ეტაპზე დასრულებული სახით ეცნობა ყველა მონაწილეს. და ბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველი საპროგნოზო წელი - ეს არის დაპროგნოზების მეთოდოლოგიის პერმანენტული დახვეწისა და სრულყოფის არეალი, EUROCONTROL-ისა და მისი წევრი ქვეყნების უწყვეტი ურთიერთთანამშრომლობის პროცესში.

„საქაერონავიგაცია“ იყენებს სრულიად ანაზღაურების მეთოდს, რომლის მიხედვით ხარჯები მოიცავს n+5 პერიოდს, სადაც n - არის მიმდინარე წელი.

ევროკონტროლი მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრული მონაცემები და აუდიტორული დასკვნები სრულად შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ევროკონტროლის დანახარჯთა ბაზის მიხედვით ხარჯები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ✓ პერსონალზე განსაზღვრული ხარჯი, არის ისეთი ხარჯი, რომელიც მოიცავს დარიცხულ ხელფასს, მივლების ხარჯს, პერსონალის დაზღვევის ხარჯს და პენსიას;
- ✓ სხვა საოპერაციო ხარჯი - შედგება შემდეგი ხარჯისაგან: სწავლების ხარჯი, კომუნიკაციის ხარჯი, იჯარა, ქონების დაზღვევა, რემონტის და მოვლა-

შენახვის ხარჯი, იურიდიულ ხარჯი, სათადარიგო ნაწილების და მასალების შემენის ხარჯი, ბანკის მომსახურების ხარჯი და სხვა ხარჯი.

- ✓ ცვეთა;
- ✓ კაპიტალზე ამონაგების ხარჯი;
- ✓ სხვა განსაკუთრებულ ხარჯი.

ევროკონტროლის პრინციპების საფუძველზე ყველა ხარჯი უნდა იყოს წარდგენილი ფუნქციათა კლასიფიკაციის მიხედვით.

ფუნქციათა კლასიფიკატორი შედგება შემდეგი სახეობებისაგან:

- ✓ საჰაერო მოძრაობის მართვის ხარჯი (ATM);
- ✓ კომუნიკაციის, რადიონავიგაციის და რადიოლოკაციის ხარჯი (CNS);
- ✓ სააერონავიგაციო მომსახურების ხარჯი (AIR);
- ✓ მეტეოროლოგიური მომსახურების ხარჯი (MET);
- ✓ ძებნა-შველის მომსახურების ხარჯი (SAR).

ყველა გაწეული ხარჯი ასევე უნდა იყოს გადანაწილებული მარშრუტზე და ტერმინალზე.

ბიზნესმოდელში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია კაპიტალის ღირებულება. მისი მეშვეობით განისაზღვრება მოგების და გადასახდელის განაკვეთი. კაპიტალის ღირებულება გაიანგარიშება როგორც საშუალო მიმდინარე წმინდა აქტივების და გრძელვადიანი აქტივების ჯამის ნამრავლი ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთისა და ROE-ს საშუალო შეწონილ პროცენტზე. ცხადია, რომ კაპიტალის ღირებულების სიდიდის სწორი გაანგარიშება უზრუნველყოს არაფინანსურ აქტივებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას და კრედიტებზე საჭიროების მინიმიზაციას.

გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

გარემოს დაცვა

კომპანიაში 2018 წელს ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი, რომელიც განთავსებული იქნება ქ. ფოთში, ცენტრი-მალთაყვა. ამ ლოკატორის ელექტრომაგნიტური გამოსხივების გარემოზე ზემოქმედების შესწავლის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 257/ნ შესაბამისად, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ (შპს „საქაერონავიგაციის“ დაკვეთით), მიერ შედგენილ იქნა სანიტარიული დაცვითი და განაშენიანების შეზღუდვის ზონების გაანგარიშებისა და კეთილმოწყობის პროექტი. პროექტის დასკვნის თანახმად რადიოლოკატორის გამოსხივების ზემოქმედება მთლიანად ჯდება საქართველოში მოქმედი ნორმის ფარგლებში.

აგრეთვე, 2017წ. შესწავლილ იქნა ქვიშიანას მთაზე განლაგებული მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი „მრლ 1100-ის“ ელექტრომაგნიტური გამოსხივების გარემოზე ზემოქმედება. შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ მიერ (შპს „საქაერონავიგაციის“ დაკვეთით) ჩატარდა შესაბამისი გაზომვები და შეიქმნა სანიტარიული პასპორტი, რომლის თანახმად რადიოლოკატორის გამოსხივების ზემოქმედება მთლიანად ჯდება საქართველოში მოქმედი ნორმის ფარგლებში.

დასაქმება

შპს „საქაერონავიგაცია“ დასაქმებულს საუკეთესო სამუშაო გარემოს სთავაზობს და მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას, მისი მოტივაციისა და შრომითი კმაყოფილების ასამაღლებლად.

“საქაერონავიგაცია” როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მომუშავე თანამშრომლებს, კომპენსაციებისა და სარგებლის სრულ პაკეტს სთავაზობს. კომპანიაში ყველა თანამშრომელი საუკეთესო პაკეტით არის დაზღვეული.

საქაერონავიგაცია ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. მუდმივად ხდება თანამშრომელთა სწავლება და გადამზადება, როგორც შპს “საქაერონავიგაციის” ტრეინინგ ცენტრში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ახალი თანამშრომლის შერჩევის პროცესი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი პოზიციისთვის ხდება შერჩევა. დასაქმება ხდება ვაკანსიის საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია გამოცხადდეს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე გარეთ. დასაქმებულთან ხდება შრომითი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს კანონმდებლობის დაცვით.

“საქაერონავიგაცია” ყოველთვის არჩევს მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელიც თავისი განათლებით, პროფესიული და პიროვნული უნარებით მაქსიმალურად შეეფერება გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებს.

“საქაერონავიგაცია” მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიონალიზმზე. პროფესიონალიზმი კომპანიისათვის უმთავრესი პრიორიტეტია.

სოციალური საქმიანობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები

პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით - კომპანია აზღვევს პერსონალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს 1,445 ათას ლარად. ამ ღონისძიების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ავადმყოფობის ხანგრძლივობა და პერსონალის ხარჯი მკურნალობაზე და სხვ.

შპს „საქაერონავიგაციის“ სოციალური საქმიანობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითია შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა. საქაერონავიგაცია ზრუნავს

თანამშრომლებისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გარემოს შექმნაზე არა მხოლოდ „საქაერონავიგაციაში“ მუშაობის პერიოდში, არამედ მათი პენსიაზე გასვლის შემდეგაც.

2015 წლის 30 დეკემბერს, სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ უფროსის N07/1-ს ბრძანებით განხორციელდა შპს „საქაერონავიგაციის“, როგორც არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის და „შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის“ რეგისტრაცია.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემა არის განსაზღვრული შენატანების, დამსაქმებლის პროფესიული სქემა, რომლის მონაწილე შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არანაკლებ 24 კალენდარული თვის განმავლობაში იმყოფება შრომით ურთიერთობაში შპს „საქაერონავიგაციასთან“.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის მონაწილეებს სთავაზობს მრავალ სარგებელს:

- ✓ საპენსიო დანაგროვის შეგროვების მოქნილი საშუალება;
- ✓ შპს „საქაერონავიგაციისაგან“ გარანტირებული სოციალური შენატანები;
- ✓ საპენსიო ასაკის მიღწევამდე სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში საპენსიო დანაგროვის გატანის შესაძლებლობა;
- ✓ საპენსიო ასაკის მიღწევისას დანაგროვის გარკვეული ნაწილის გატანის შესაძლებლობა;
- ✓ შრომის უნარის ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგვის შემთხვევაში პენსიის აღების შესაძლებლობა;
- ✓ სქემის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში საპენსიო დანაგროვის ან პენსიის მიღების უფლების მემკვიდრეებისათვის გადაცემა.

საპენსიო სქემის მონაწილეების სახელობით საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების განხორციელება ხდება მონაწილისა და დამსაქმებლის მიერ. საპენსიო შენატანების ჩარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად. შპს „საქაერონავიგაცია“

თავად უზრუნველყოფს ყოველი თვისათვის მომდევნო თვის ოც რიცხვამდე საპენსიო შენატანების განხორციელებას. მონაწილეს სახელფასო ანაზღაურებიდან ჩამოეჭრება და საპენსიო შენატანის სახით გადაირიცხება მისი ძირითადი ხელფასის 7%, რომელსაც დაემატება დამსაქმებლის მხრიდან ამავე ძირითადი ხელფასის 18%.

შპს „საქაერონავიგაციის“ არასახელმწიფო საპენსიო სქემის აქტივების მართვა ხორციელდება აქტივების მმართველი კომპანიის მიერ, რომელიც ახორციელებს აღნიშნული აქტივების ინვესტირებას მოგების მიღების მიზნით. აქედან გამომდინარე, საპენსიო სქემის არსებობა ხელს უწყობს არა მხოლოდ სქემის მონაწილეების მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარებასაც.

საპენსიო სქემის ადმინისტრირების მიზნით შპს „საქაერონავიგაციაში“ შექმნილია სტრუქტურული ერთეული - არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის“ ანგარიშების წარდგენას როგორც მათ მიერ დადგენილი სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივების სტრუქტურის კონტროლის, ასევე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის მიზნითაც.

რისკების ანალიზი

კომპანიის ძირითად შემოსავალს ღებულობს საჰაერო ხომალდების სააერნაოსნო მომსახურებიდან მარშრუტზე და აეროდრომებზე აფრენა-დაფრენისას.

იმ საჰაერო ხომალდებს, რომლებიც საქართველოს საჰაერო სივრცეში სარგებლობენ სააერნაოსნო მომსახურებით, ერიცხებათ სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი. სააერნაოსნო მომსახურების გადასახდელი შედგება მარშრუტისა და ტერმინალის

სააერნოსნო მომსახურების გადასახდელისგან. სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის გაანგარიშება ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული ფორმულით. მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას შპს „საქაერონავიგაციის“ და სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ სახელით ახორციელებს ევროპის სააერნოსნო უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელის ცენტრალური სამსახური (CRCO). შემუშავებული და დამტკიცებული წესების მიხედვით, ავიაკომპანია ვალდებულია დაფაროს მარშრუტის სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი ანგარიშის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ დარიცხვის პროცესში შესაძლებელია გართულდეს ფრენის ოპერატორის მოძიება, საჰაერო ხომალდის კუთვნილების განსაზღვრა, ან ავიაკომპანიამ არ დაფაროს სააერნოსნო მომსახურების გადასახდელი მითითებულ ვადაში. ევროკონტროლი და მისი წევრი ქვეყნები, აცნობიერებენ არსებულ რისკებს და ცდილობენ იმოქმედონ სწრაფად და უბიძგონ ფრენის ოპერატორს გადახდისკენ მრავალი შეხსენებით და გაფრთხილებით. დაგვიანებული გადახდის შემთხვევაში, კი დავალიანების თანხას ევროკონტროლის მიერ ერიცხება ჯარიმა. ჯარიმის დადგენის სიდიდე წინასწარ დადგენილი სქემით ხორციელდება.

ტერმინალის სააერნოსნო მომსახურების მომხმარებლებისათვის ანგარიშების წარდგენას და გადასახდელის აკრებას ახორციელებს შპს „საქაერონავიგაცია“. ანგარიშის წარდგენა ხორციელდება ლარში. არსებობს შემთხვევები, როდესაც რთულია ფრენის ოპერატორის ან საჰაერო ხომალდის კუთვნილების განსაზღვრა, საქმე შედარებით რთულდება ჩართული ფრენების შემთხვევაში. დებიტორული დავალიანების წარმოქმნის დამატებითი რისკების ნაწილობრივ თავიდან ასაცილებლად, იმ ავიაკომპანიებთან, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ ფრენებს საქართველოს აეროპორტებში, შპს „საქაერონავიგაცია“ აფორმებს ხელშეკრულებას სააერნოსნო მომსახურების შესახებ. აღნიშნული კონტრაქტით

განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, მომსახურებისა და გადახდის პირობები და წინასწარ გადასახდელი საავანსო თანხა რეგულარული ფრენების მიხედვით. შპს „საქაერონავიგაციის“ თანამშრომლები ცდილობენ შეხსენებითი ხასიათის ელექტრონული წერილებით და სატელეფონო ზარებით უზიძგოს ავიაკომპანიას დროულად დაფაროს დავალიანება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება დავალიანების სრულ დაფარვამდე ავიაკომპანიისთვის სააერნაოსნო მომსახურების შეწყვეტა.

გაწეულ ხარჯზე რისკები

1. საჰაერო მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული რისკი - კომპანიის მიერ ხდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც მოიცავს მისი ბრალეულობით საჰაერო სივრცესა და აეროპორტის ტერიტორიაზე დამდგარი ზიანის დაზღვევას. სადაზღვევო ლიმიტი შეადგენს 500 მილიონ აშშ დოლარს. სადაზღვევო პრემია 1,019 ათასი ლარი.
2. პერსონალის ჯანმრთელობა - კომპანიის აზღვევს პერსონალის ჯანმრთელობის და სიცოცხლეს 1,445 ათას ლარად.
3. პერსონალის არაკეთილსინდისიერად ან გაუფრთხილებლად მოქმედებით გამოწვეული ზიანი - კომპანიაში პერსონალის მიღება ხდება მათი ბიოგრაფიის შესწავლის და გამოსაცდელი ვადის გავლის შემდეგ.
4. მაღალკვალიფიციური პერსონალის გადინება - კუნკურენტუნარიანი შრომის ანაზღაურების და კარგი სამუშაო პირობების შეთავაზებით ხდება კადრების შენარჩუნება, ამასთან ერთად მუდმივად მიმდინარეობს ახალი პერსონალის სწავლება ძველის გადამზადება.
5. ქონების დაზიანება ან განადგურების რისკი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა) - ქონების დაზღვევა ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის დაზღვევას ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში. სულ 53 ათასი ლარი.
6. სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი - კომპანიას დაზღვეული აქვს ავტომობილები 22 ათას ლარად და შვეულმფრენი 64 ათასი ლარად.
7. ფორს-მაჟორი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორს-მაჟორის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

8. მიღებული სამუშაოებსა და საქონელში ფარული ხარვეზის არსებობის რისკი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონელსა და მომსახურებაზე გონივრულ საგარანტიო პერიოდს, გარდა ამისა მნიშვნელოვან ობიექტების მშენებლობაში ხდება აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად თანხის დაკავება ან საბანკო გარანტიის მოთხოვნა.
9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების რისკი - ვადაგადაცილების შემთხვევაში ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ჯარიმის გადახდა.
10. ავანსი - ავანსის გადახდა ხდება მხოლოდ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ..
11. სავალუტო რისკი - კომპანიის მომსახურების ტარიფები განსაზღვრულია ლარში თუმცა მარშუტზე შემოსავლის მიღება ხდება ევროში. გარდა ამისა ზოგიერთი საქონლის და მომსახურების შეძენა ხდება სხვადასხვა ვალუტაში, შესაბამისად ვალუტის კურსის ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად კომპანია ფულს ინახავს სხვადასხვა ვალუტაში.
12. ლიკვიდურობის რისკი - კომპანიის მიერ ხდება ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვა, რათა წინასწარ მოხდეს ფულის გარე წყაროებიდან მოზიდვის საჭიროების იდენტიფიკაცია ასეთი შემთხვევის დადგომისას და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.